ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-110

ქ.თბილისი 17 ივნისი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებლის მანანა რატიანის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, ა/ა: 707657499.

მეორე მხრივ, შპს „დიჯითი," წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა ნიკოლაიშვილის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქუჩა N 31ა.
საიდენტიფიკაციო კოდი: 404417831;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ბანკის კოდი: UGEBGE22, ა/ა: GE 73 VT7000000011114444.

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების N NAT190009951) შედეგების გათვალისწინებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხული მსუბუქი და მაღალი გამავლობის ავტომობილების, მიკროავტობუსების და ავტობუსის რეცხვისა და ქიმწმენდის მომსახურების შესყიდვა (CPV: 50112300 -მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურება).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8909.00 (რვაათას ცხრაასცხრა) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
3.4 გასაწევი ტექნიკური მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N 1-ში;
3.4 დაფინანსების წყარო: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები.

4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები

4.1მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მომსახურების გაწევა განხორციელდება კვალიფიციურად და ხარისხიანად;

4.2 ავტომობილების რეცხვა/გასუფთავების მომსახურება უნდა განხორციელდეს საბარათე (პლასტიკური ბარათი) სისტემის მეშვეობით. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი უზრუნველყოს ისეთი ტიპის ელექტრონული საშუალებით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება 24 საათის განმავლობაში მომხმარებელმა სახელისა და საიდენტიფიკაციო პაროლის გამოყენებით გააქტიუროს შეძენილი რეცხვის და ქიმწმენდის მომსახურების რაოდენობა სპეციალურ ანგარიშზე;

4.3 სპეციალურ ანგარიშზე რეცხვისა და ქიმწმენდის მომსახურების მოთხოვნილი რაოდენობის ასახვის შემდეგ იგი წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას და შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, გადაანაწილოს მის კუთვნილ ერთ ან რამდენიმე პლასტიკურ ბარათზე.

4.4 პლასტიკური ბარათის წარდგენის შემთხვევაში მისი მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს ბარათზე არსებული რეცხვის ან ქიმწმენდის მომსახურება მიმწოდებლის კუთვნილ ნებისმიერ ავტოსამრეცხაო სადგურში ან იჯარით აღებულ სამრეცხაოში ან ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. საბარათე სისტემა ავტომატურად, ონლაინ რეჟიმში უნდა ასახავდეს მომსახურების გაწევას. რეცხვის ან ქიმწმენდის მომსახურების რაოდენობის ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს მიმწოდებელთან შეთანხმებით. სპეციალურ ანგარიშზე მომსახურების მოთხოვნილი რაოდენობის ჩარიცხვის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. სპეციალურ ანგარიშზე ასახული რეცხვისა და ქიმწმენდის მომსახურების რაოდენობის ფარგლებში შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურებით ისარგებლოს რაოდენობის ამოწურვამდე, ტენდერში არსებული პირობების შესაბამისად;

4.5 საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არაუმეტეს 11 ცალი პლასტიკური ბარათის და მოთხოვნილი რაოდენობის ტალონების შემსყიდველისათვის უსასყიდლოს მიწოდება მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.6 ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვის მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

1) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების როგორც გარედან, ისე შიდა (სალონი, საბარგული) რეცხვა. ამასთან, რეცხვა უნდა მოხდეს ხელით, სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით; რეცხვის შემდეგ უნდა მოხდეს ავტომობილის გამშრალება;

2) რეცხვისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს ავტომობილის რეცხვისათვის განკუთვნილი სარეცხი და საწმენდი საშუალებები;

3) მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული ნებისმიერი ზარალის აღმოფხვის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;

4) მიმწოდებელმა რეცხვის მომსახურება უნდა განახორციელოს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ პლასტიკური ბარათის/ტალონის წარდგენის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს 1 საათისა;

5) მიმწოდებელი ვალდებულია რაოდენობის ამოწურვამდე (უვადოდ) მოემსახუროს შემსყიდველს;

4.7 ქიმწმენდის მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

1) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ქიმიური წმენდის მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ინტერიერის (სალონი და საბარგული) სრულად წმენდას შესაბამისი ხსნარებით, სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და საწმენდი საშუალებების გამოყენებით;

2) წმენდისას უნდა მოხდეს სალონის პლასტიკური და ტყავის ელემენტების დამუშავება დამცავი და დამარბილებელი სპეციალური სითხით და კრემებით, სალონის გაწმენდა და დეზინფექცია, არასასიამოვნო სუნის ლიკვიდაცია;

3) მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული ნებისმიერი ზარალის აღმოფხვის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;
4) მიმწოდებელმა ქიმწმენდის მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ შესაბამისი ბარათის/ტალონის წარდგენიდან არაუმეტეს 48 საათში;

5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევის ვადა - შესყიდული მომსახურების რაოდენობების ამოწურვამდე;
5.2 მიწოდების ადგილები მოცემულია დანართი N 2-ში.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
6.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
6.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსს რატი ღვამბერიას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;
8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.
8.2 „შემსყიდველი“ უფლება აქვს:
8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;
8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.
8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.4.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით;
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) %-ის ოდენობით;
9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის მენეჯერს გიორგი ფერაძე, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან შტამპი;

16.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

16.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	შპს „დიჯითი“
მანანა რატიანი დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი	**ბექა ნიკოლაიშვილი** დირექტორი

დანართი N 1

N	შესყიდვისობიექტი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სტანდარტული ტიპის ავტომობილის რეცხვა	200	8.85	1770
2	ჯიპის ტიპის ავტომობილის რეცხვა	300	13.57	4071
3	ავტობუსის ტიპის ავტომობილის რეცხვა	50	35.4	1770
4	მინივენის ტიპის ავტომობილის რეცხვა	50	17.7	885
5	სტანდარტული ტიპის ავტომობილის ქიმიური წმენდა	3	59	177
6	ჯიპის ტიპის ავტომობილის ქიმიური წმენდა	4	59	236
			სულ	**8909**

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

მიმწოდებელი:
შპს „დიჯითი“

მანანა რატიანი
დირექტორის ფუნქციების დროებით
შემსრულებელი

ბექა ნიკოლაიშვილი
დირექტორი

დანართი N 2

ავტოსამრეცხაოების ჩამონათვალი
1. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2 - 3 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
2. ქ. თბილისი, ხევმმარის ქ. N 1 - 10 ბოქსი 24/24, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
3. ქ. თბილისი, ვარკეთილი 3-ის 2 მ/რ-სა და ვარკეთილისი მასივს შორის - 4 ბოქს, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
4. ქ. თბილისი, გაბრიელ სალოსის N 50 - 6 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
5. ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N 75 - 2 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
6. ქ. ბათუმი, ა.აბაშიძის ქ. N 53 - 2 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
7. ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ. N 2ა - 4 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
8. ქ. თელავი, გამზირი ი.ჭავჭავაძის 1 ჩიხი - 2 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
9. ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კილომეტრი - 2 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
10. ქ. ზუგდიდი, წერეთლის ქ. N 2 - 2 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება
11. ქ. რუსთავი, ქ. თბილისი და მეგობრობის მოედანს შორის - 2 ბოქსი, ქვეკონტრაქტორის საკუთრება

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

მანანა რატიანი
დირექტორის ფუნქციების დროებით
შემსრულებელი

მიმწოდებელი:
შპს „დიჯითი“

ბექა ნიკოლაიშვილი
დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „დიჯითი") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი _____ */მანანა რატიანი/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი _____ */რატი ღვამბერია/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის მენეჯერი _____ */გიორგი ფერაძე/*

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი _____ */ია ძებისაური/*

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი _____ */ნიკო გიგოლაშვილი*

შემსრულებელი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი _____ */ირინე სადრაძე/*